

ნანა ტონია
პროფესორი
ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

მხატვრული ლიტერატურა და ანტიკურობის კულტურული მემკვიდრეობა

თეზისები: თანამედროვე სამყაროში საკმაოდ მწვავედ დგას მთელი განვლილი მხატვრული გამოცდილების ღრმა გადააზრების პრობლემა, აგრეთვე იმ კანონზომიერებათა გამოვლენისა და დადგენის საკითხი, რომლებიც განსაზღვრავდნენ მემკვიდრეობითობისა და ნოვატორობის საზღვრებს. ეს ღრმა და მრავალმხრივ მეცნიერულ კვლევას მოითხოვს. მე შევეხები ამ პრობლემის მხოლოდ ერთ სფეროს — ტრადიციულობის საფუძველს დღევანდელ მხატვრულ აზროვნებაში. ამასთან დაკავშირებით დგება რამდენიმე საკითხი: 1. რა არის ის ფუნდამენტური თვისება ხელოვნებისა, რომელიც ტრადიციისადმი მიმართვისა და მისი მხატვრული გადააზრების საშუალებას იძლევა? 2. რომელი ეპოქის მემკვიდრეობის ნოვატორული განვითარება გამოდგა უფრო მნიშვნელოვანი? 3. არის თუ არა საჭირო სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში არსებული კულტურებისათვის გარდასულ ეპოქათა მემკვიდრეობის მიღება?

აქედან გამომდინარე, ცხადია, თუ რაოდენ დიდი როლი ენიჭება ძველი ენების სრულყოფილ ცოდნას ძველ ცივილიზაციათა უმთავრესი სფეროს, ლიტერატურის შესწავლის საქმეში.

საკვანძო სიტყვები: თანამედროვეობა, ტრადიციონალიზმი, ნოვატორობა, ფუნდამენტალიზმი, ანტიკურობა

Abstract: The modern world has been genuinely concerned with fundamentally rethinking the artistic experience of the past centuries as well as identifying and determining the rules that define the boundaries of heredity and innovation. This is a rather broad subject and I will only dwell upon its particular area, notably the questions: 1. What is the basic quality of the art that

ensures the artistic reinterpretation of the tradition? 2. Which era appears more important in terms of the innovative development of its heritage? 3. Is it necessary for cultures to prevail in different geographical environments to have a full knowledge and, what is more, be bearers of this heritage? Subsequently, in this article, I will examine the fundamental feature of the ancient fiction that renders it necessary to be translated by different national cultures.

Keywords: modernity, traditionalism, innovativeness, fundamentalism, antiquity

ევროპულმა ცივილიზაციამ, მიუხედავად ეპოქათა მრავალფეროვნებისა, შემოინახა ანტიკურობის ძირითადი ფასეულობანი. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება თავად სახელწოდებას. „ევროპა“ დაიწყო მითოსიდან, რომლის თანახმადაც, სახელწოდებაც და თავად იდეაც წარმოიშვა იმ უძველეს კულტურულ სივრცეში, რომელიც მოგვიანებით შეირაცხება ევროპად. ეს არის სემიტური სიტყვა და მას ფინიკიელი მეზღვაურები ხმარობდნენ მზის დახდომის აღსანიშნავად (*Гамбута, Боги и Богини Старой Европы*). ტერმინი „ევროპა“ როგორც ხმელეთის რაღაც ნაწილის აღმნიშვნელი, უძველეს ბერძნულ წყაროებში არ დასტურდება. მას პირველად მოიხსენიებს ჰეკატეოს მილეტოსელი (ძვ.წ. VI საუკუნის ბოლო) „დედამიწის აღწერილობაში“ (*Hecateus 670-1*).

შანტრენის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში (*Chantraine, Dictionnaire étymologique de la langue grecque*) აღნიშნულია, რომ ამ სიტყვის ეტიმოლოგია უცნობია, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ანტიკურ სამყაროში გამოთქმული იყო ფრიად საინტერესო ჰიპოთეზები. ასე მაგალითად, სიტყვა „ევროპა“ უნდა მომდინარეობდეს ბერძნული ძირიდან *εὐρῶς* – „ფართე“ და *ῥώπη* (*ῥῶπις ἡ*) – „თვალი“, რომელიც შეიძლება ასე ითარგმნოს: „თვალფართო“ ან „ფართოთვალსაწიერით“. ლექსიკოგრაფოსი ჰესიქიოსი აღნიშნავდა, რომ სიტყვა „ევროპის“ მნიშვნელობა შეიძლება გავიგოთ, როგორც „ჩამავალი მზის ქვეყანა“ (*Лосев, Мифология греков и римлян 223*).

დავუბრუნდეთ მითს: ევროპე ერქვა ფინიკიის მეფის, აგენორის ასულს. თავად ფინიკია მდებარეობდა იქ, სადაც ახლა მდებარეობს ლიბანი. ევროპე შეუყვარდა ზევსს, ხარად გარდასახულმა მოიტაცა ქალწული და დაასახლა კრეტაზე. ზევსისგან ევროპეს გაუჩნდა ვაჟი, მინოსი, რომლის სახელიც ეწოდა ეგეოსური ცივილიზაციის ბრინჯაოს ხანის კუნძულ კრეტაზე აღმოჩენილ მთელ კულტურას (ძვ.წ. 2700-1400 წწ.).

მინოსს მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება ბერძნულ მითოლოგიაში. იგი ითვლება ერთ-ერთ უპირველეს კანონმდებელად და კრეტის საზღვაო ღიდების შემოქმედად. ამ დამსახურებებისათვის გარდაცვალების შემდეგ მინოსი დაინიშნა ჰადესის მსაჯულად რადამანთისთან და ეაკოსთან ერთად (Грейвс, *Мифы древней Греции* 226-245).

ამ ლეგენდის ისტორიულ საფუძვლებზე მსჯელობს ჰეროდოტე თავისი *ისტორიის* პირველივე სტრიქონებიდან. მან იცის, რომ „ვიღაც ელინები“ შენაგდნენ ფინიკიურ ტიროსში და მოიტაცეს მეფის ასული ევროპე. ამით მათ სამაგიერო მიუზღეს ფინიკიელებს, რომლებმაც არგოსიდან გაიტაცეს მეფე ინაქოსის ასული იო, რომელიც თან გაიყოლეს და დაასახლეს ეგვიპტეში. მეცნიერთა უმეტესობა იზიარებს აზრს იმის თაობაზე, რომ ამ გადმოცემას საფუძვლად ედო აქაველთა მიერ მცირეაზიური ღვთაების კერპის მოტაცების ამბავი ხეთების სამეფოს დახდომის ეპოქაში (დაახლ. 1170 წ.). ხეთურ არქეტიპებზე აღმოჩენილია ხარზე მჯდომი შიშველი ქალღმერთის გამოსახულებები. ასე წარმოსახავდნენ ევროპეს ბერძნებიც, ახალი და უახლესი ეპოქების ევროპელი შემოქმედებიც (Гамбуртс, *op. cit.*).

ბერძნულ ისტორიულ წყაროებში აღიარებულია, რომ ბერძენთა დამკვიდრებამდე ისტორიული საბერძნეთის ტერიტორიებზე ეგეიდა (ხმელთაშუა ზღვის კუნძულები და ბალკანეთის ნახევარკუნძული) წინაბერძნულ ტომებს (პელასგებს, ლელეგებს, კარიელებს, ეტეოკრეტელებს) ეკავათ და რომ მათი კულტურის აღმავლობა დაკავშირებული იყო მინოსურ კრეტასთან. პრობლემათა ამ წრეში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს წინაბერძნული და ქართველური ტომების ურთიერთობის საკითხს. ამასთან დაკავშირებით ქართველი და უცხოელი მეცნიერების მიერ გამოთქმულია საკმაოდ დამაჯერებელი მოსაზრებანი იმის თაობაზე, რომ უკვე ძვ.წ. II ათასწლეულში კავკასიასა და ეგეიდას შორის არსებობდა საკმაოდ მჭიდრო კავშირები, რაც აისახა კიდევც მითოლოგიაში (გორდებიანი, *წინაბერძნული და ქართველური* 9). ამის დასტურია არგონავტების ციკლის მითოსი, განსაკუთრებით კი ის, რომ ევროპეს ძის, სახელოვანი მინოსის მეუღლე და მისი შვილების დედა იყო კოლხი პასიფაე, რომელსაც სხვა კოლხი ქალების მსგავსად გააჩნდა ჯადოქრობის ნიჭი. პასიფაე მონათესავე კოლხ ქალებთან ერთად მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ბერძნულ სამყაროში (Грейвс, *op. Cit.* 234): მისი შვილები იქნებიან ფედრა და არიადნე. მას მიეძღვნება ევრიპიდეს ტრაგედია სახელწოდებით *კრეტელი ქალები*, რომლის ერთ-ერთი მონოლოგი აღმოჩენილია პაპირუსზე (Αρχο, *Ο невероятном*).

თანამედროვე მეცნიერებაში არსებობს მყარად ფესვგადგმული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ წინაბერძნულ ენობრივ სამყაროში ძალზე მნიშვნელოვანია ქართველური ელემენტი, რასაც ადასტურებენ სიტყვები, რომლებიც ბერძნულს წინაბერძნულიდან უნდა მიეღო, აგრეთვე პრეფიქსთა და სუფიქსთა მთელი წყება, რომლებიც ბერძნულ სახელწოდებებში დასტურდება. მეცნიერების აზრით, ეს მოვლენა დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ძვ. წ. მეორე ათასწლეულში კავკასიიდან ქართველურ ტომთა რაღაც ნაწილის ეგვიპტეში გადასახლებასთან. უფრო ზუსტად კი კითხვას იმის თაობაზე, თუ რა კავშირი აქვს წინაბერძნულს ქართველურ ენასთან, პასუხს გასცემს მინოსურ კრეტაზე აღმოჩენილი A-ხაზოვანი დამწერლობით შესრულებული წარწერების გამოფერა, რომლებიც მრავალ საიდუმლის ინახავენ.

ეს ისტორიულად დადასტურებული და შემდგომ მეცნიერულად გამოკვლეული ფაქტები აშკარად მიუთითებენ ქართველურ და წინაბერძნულ სამყაროთა ურთიერთმიმართებაზე, რაც საფუძველს გვაძლევს, ვისაუბროთ ქართველურ წვლილზე ანტიკური კულტურის ჩამოყალიბებაში.

* * *

ანტიკურობის კულტურულმა მემკვიდრეობამ ღრმა კვალი დატოვა კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე. ადამიანური აზროვნების ნებისმიერ სფეროში შესაძლებელია აღმოვაჩინოთ იდეები, რომლებმაც განსაკუთრებული გავლენა იქონიეს შუასაუკუნეთა, ახალი თუ უახლესი ეპოქების ხალხთა სულიერ თუ მატერიალურ კულტურაში. ეს განსაკუთრებულობა განპირობებულია იმით, რომ ანტიკური სამყაროს მიღწევებმა განსაზღვრეს ე.წ. „დასავლური“ სამყაროს ცივილიზაციის შინაარსი და უმთავრესი მიმართულებანი.

თანამედროვე ადამიანის წინაშე, ბუნებრივია, დაისმის კითხვა იმის თაობაზე, თუ რა იყო ის უმთავრესი, რამაც ანტიკურ ცივილიზაციას მიანიჭა უნიკალობა იმ ფონზე, როდესაც არსებობდნენ სხვა უძველესი ცივილიზაციები.

ხანგრძლივი მეცნიერული კვლევა არ დასჭირვებია იმის აღიარებას, რომ ანტიკური კულტურის ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანესი იყო ადამიანური ფაქტორი, პიროვნება, რომელმაც შექმნა ისეთი საზოგადოება, სადაც შეძლო საკუთარი შემოქმედებითი ძალების რეალიზაცია. ეს იყო თავისუფლების შეცნობის უმთავრესი საშუალება, რასაც მოჰყვა პიროვნული ღირსების აღიარება, სულიერების პრიორიტეტის გამოკვეთა, მეცნიერების, მითოლოგიის, ლიტერატურისა

და ხელოვნების აღმავლობა. ანტიკურ სამყაროში დაედო დასაბამი ფილოსოფოსთა სკოლებს: პლატონის აკადემიას, არისტოტელეს ლიკეიონს, ალექსანდრიის მუზეუმსა და სხვებს; შეიქმნა განათლების სისტემა.

დიდი იყო ანტიკური ცივილიზაციის წვლილი ეკონომიკის განვითარებაში. სწორედ ანტიკურ ეპოქაში აღმოცენდა წარმოების ორგანიზაციის, საკუთრების, ფინანსურ, ფულად თუ სხვა ურთიერთობათა ფორმები; დაარსდა სახელმწიფო ხაზინები, ბანკები და ა.შ.

ადამიანში სულიერების აღორძინებამ შესაძლებელი გახადა მსოფლიო რელიგიების აღმოცენება, პოლითეიზმიდან მონოთეიზმზე გადასვლა, რომლის განმაპირობებელ ფაქტორთა შორის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროთა ცენტრალიზაციისკენ სწრაფვა მოიპოვება.

ძველმა ბერძნულმა კულტურამ ღრმად შეაღწია ხმელთაშუა, შავი, აზოვისა თუ იონიის ზღვის სანაპიროებზე, სადაც დააარსა ახალმშენები. ეს პერიოდი, ძვ.წ. VIII-VI საუკუნეები ცნობილია „დიდი ბერძნული კოლონიზაციის“ სახელით. ამ საკოლონიზაციო მოძრაობამ დიდი როლი შეასრულა მსოფლიო პროგრესის ისტორიაში: განვითარდა ზღვაოსნობა, დაიწყო ინტენსიური მოგზაურობანი, რამაც ხელი შეუწყო ხალხთა კულტურულ ურთიერთობას.

სრულიად განუზომელია ალექსანდრე მაკედონელის როლი აღმოსავლური და დასავლური კულტურების დაახლოებაში, ლოკალური ცივილიზაციების მსოფლიო ცივილიზაციად გარდასახვაში.

ამ პროცესში განუმეორებელი წვლილის შეტანა შეძლო რომაულმა იმპერიამ, რომელიც თავისი აღმავლობის პერიოდში მოიცავდა თითქმის მთელ დასავლეთ და სამხრეთ ევროპას, წინა აზიას, შავი ზღვისპირეთსა და ჩრდილო აფრიკას.

ანტიკური ცივილიზაციის მონაპოვარია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ურთიერთობათა განსაკუთრებული წყობა – დემოკრატია, რომლის პრინციპებიც დღემდე ყველა ქვეყნის დემოკრატიულ პარტიათა და მოძრაობათა პროგრამების საფუძვლებად გვევლინებიან (Davies, *Europe. A History*).

ანტიკურმა სამყარომ ეს დიდებული მონაპოვარი შექმნა, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ მოიფიქრა სახელმწიფოებრივი წყობის უნიკალური, ე.წ. პოლისური სისტემა, რომელსაც საფუძვლად ედო მოქალაქეთა მწყობრი საზოგადოებრივი მდგომარეობა, რაც მათ საშუალებას აძლევდა, მონაწილეობა მიეღოთ პოლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ჰქონოდათ პოლიტიკური თავისუფლება, რაც თავისთავად საწინდარი იყო იდეოლოგიური და შემოქმედებითი თავისუფლებისა. პოლისში თითოეული მოქალაქის კეთილდღეობა დამოკიდებული იყო

მთელი საზოგადოების კეთილდღეობაზე. ამიტომ მოქალაქის უმაღლეს დანიშნულებად და მოვალეობად მიჩნეული იყო ამ კეთილდღეობაზე ზრუნვა, აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ამონარიდი ათენური დემოკრატიის მამად აღიარებული სახელოვანი სტრატეგოსის, პერიკლესის სიტყვიდან, რომელიც მან წარმოთქვა პელოპონესის ომში დალუპულ მებრძოლთა სამაროვანთან:

მიუხედავად იმისა, რომ ყველა საკუთარ საქმეშია გაწაფული, თითოეული მოქალაქე კარგად ერკვევა პოლიტიკაში, რადგან მხოლოდ ჩვენ მივიჩნევთ საზოგადოებრივ საქმეთაგან შორს მდგომ კაცს არა საიმედო მოქალაქედ, არამედ უსარგებლო უქნარად. (თუკიდიდესი, *პელოპონესოსის ომის ისტორია*, პერიკლესის სიტყვა 34-36).

მოქალაქეთა ჩართულობამ პოლისურ საქმიანობაში გამოკვეთა ანტიკური კულტურის იდეათაგან უმნიშვნელოვანესი – იდეა ხალხის უზენაესი ძალაუფლებისა.

ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს, ვისაუბროთ ანტიკური კულტურის უნიკალურობაზე, უნივერსალურობაზე, დროის გარეშე არსებობაზე. ამის ნათელი დადასტურებაა ის მრავალგზისი მიბრუნება ანტიკურობისაკენ, რაც აღიბეჭდა გარდასულ საუკუნეებში, რაც ხდება დღესაც.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ანტიკურობისადმი ინტერესი საზოგადოების განვითარების ყოველ ეტაპზე სხვადასხვაგვარი იყო. ანტიკურობისაკენ მიბრუნების თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი იყო იტალიური რენესანსი (XIV-XVI), თუმცა მანამდეც და მის შემდეგაც მსგავსი მიბრუნებანი, რა თქმა უნდა, მეტნაკლები ინტენსივობით, მრავალგზის მომხდარა. მედიევისტიები აფიქსირებენ კაროლინგურსა და ოტტოთა ეპოქის აღორძინებას, რომელიც VIII-X საუკუნეებში შეინიშნებოდა, XII საუკუნის პროვანსალურ პოეზიას „პროტორენესანსულს“ უწოდებდნენ. რაც შეეხება პოსტრენესანსულ ხანას, აქაც ანტიკურობისაკენ მიბრუნების უწყვეტი პროცესებია დადასტურებული: ფრანგული კლასიციზმისათვის ანტიკური ძეგლები გარკვეულ ნორმებად და ნიმუშებად იყო მიჩნეული; განმანათლებლობის ეპოქა სწავლობდა ანტიკურობას, როგორც უშუალოდ და მოქალაქეობრიობის საფუძველს; გერმანული ნეოჰუმანიზმი ანტიკურობას მხატვრობის დაუშრეტელ წყაროდ (გოეთე) და ობიექტური, „გულუბრყვილო“ პოეზიის ნიმუშად (შილერი) მიიჩნევდა. XIX საუკუნის რუსეთში განსაკუთრებულად იყო აქცენტირებული ანტიკურობისათვის ესოდენ ნიშანდობლივი თავისუფლების იდეა, აგრეთვე ბერძნული ხელოვნების უბრალოება

და სისადავე. რომანტიზმი ანტიკურობაში ეძიებდა ნაციონალურ ტრადიციებს, „ადგილობრივ კოლორიტს“ „ზოგადსაკაცობრიოს“ წინააღმდეგ; რეალიზმი იკვლევდა მის თანამედროვე ცხოვრებას და თავისი „სამრეწველო ეპოქის“ ახალ მოვლენებს, რომლებსაც არ იცნობდა ანტიკურობა. ფრანგი პარნასელები, სიმბოლისტები და სხვა მიმდინარეობათა წარმომადგენლები თანამედროვეობის ჩათვლით უხვად იყენებდნენ ანტიკურ სახეებსა და სიუჟეტებს თავისი ქმნილებებისათვის.

ანტიკურობისადმი ინტერესის ახალმა ტალღამ ევროპულ კულტურას XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე გადაუარა. მაგრამ წინა მიბრუნებათაგან განსხვავებით, იგი ახალი გზით წარიმართა. მას უკვე აღარ აინტერესებდა საკუთრივ ძველ-ბერძნული კულტურის უკვე ფართოდ აღიარებული მონაპოვარი: ჰუმანიზმი, რაციონალიზმი, დისკურსიული ფილოსოფია, სინამდვილის დიფერენცირებული, დანაწევრებული მხატვრული აღქმა და მისი ზუსტი წარმოსახვა (რაც ჯერ კიდევ ჰომეროსთან დასტურდება). ახლა უკვე პირიქით, ანტიკურ კულტურაში აქცენტირებულია მისი არქაულობა, მისი საფუძველი, უფრო მეტიც, სუბსტრატი: პანთეონში, მითოპოეტური მსოფლმხედველობა, სინკრეტიზმი, საწესჩვეულებო სათავეები, რელიგიურ კულტებთან კავშირი და ა.შ. ანტიკურობის ახლებურად გააზრებაში ერთგვარ ქვაკუთხედად იქცა ფ. ნიცშეს წიგნი „ტრაგედიის წარმოშობა მუსიკის სულიდან“, რომელშიც აპოლონურ, რაციონალურ საწყისს ანტიკური კულტურისა დაუპირისპირდა დიონისური, ირაციონალური, ორგიასტული, საკულტო საწყისი და ამ უკანასკნელს მიენიჭა გადამწყვეტი როლი ტრაგედიის აღმოცენებაში. ეს ირაციონალური საწყისი გახდა განმსაზღვრელი ანტიკური კულტურის თავისებურებისაც. ამ მოსაზრების ისტორიული მნიშვნელობა განისაზღვრებოდა რამდენიმე მომენტით: ა) ანტიკური კულტურის რაციონალური, ჰუმანური საწყისი ევროპას კარგა ხანია, შესწავლილი და ათვისებული ჰქონდა, ხოლო მისი ირაციონალობა ჯერ კიდევ ცნობიერების მიღმა რჩებოდა; ბ) ისტორიულობის თვალსაზრისით, რაციონალიზებული ანტიკურობა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა რეალურისგან, მასში ბევრი იყო შეუცნობელი; გ) XIX საუკუნის მიწაზე დაშვებული რეალიზმისა და პოზიტიური ფილოსოფიისაგან ანტიკური კულტურა დიდად განსხვავდებოდა თავისი არქაიკით, მითოლოგიით, სინკრეტიზმით და სწორედ ამ ამოუცნობი ნიშნებით იყო საინტერესო და მიმზიდველი.

XIX საუკუნის მხატვრული აზროვნება, რომელიც მიემართებოდა სამყაროს აღქმის მისთვის ესოდენ რთული დისკრეტიული და დისკურსიული გზით, რომელიც ეძებდა პოეტური განზოგადების

მისთვის უცნობ საშუალებებს, ყველაზე ხშირად მიმართავდა მითოლოგიას, მის სინკრეტულ სახეებსა და სიუჟეტებს. ხოლო რამდენადაც მითოლოგიურობა და სინკრეტიზმი დამახასიათებელი იყო არა მხოლოდ ძველი ბერძნული, არამედ ძველი ინდური, ძველი ჩინური, ძველევგვიპტური, ძველებრაული და სხვა ძველი კულტურებისთვის, აქედან გამომდინარე თანამედროვეობის ანტიკური კულტურისადმი დამოკიდებულების ახალი თავისებურება გაჩნდა: ანტიკურობამ დაკარგა თავისი ერთადერთობის მდგომარეობა და სხვა ხალხთა კულტურების რიგში ჩადგა.

XX საუკუნე მსოფლიო კულტურის ეპოქად იქცა. საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებულმა ევროპოცენტრულმა მსოფლმხედველობამ ადგილი დაუთმო ახალ, მსოფლიო კულტურის მსოფლმხედველობას. კულტურის ისტორიკოსები სულ უფრო დამაჯერებლად მიუთითებენ სხვადასხვა კულტურათა თანაბარ წვლილზე მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში. როგორც წესი, თეორიული აზრი კვალდაკვალ მიჰყვება მხატვრულ აზროვნებას. მართლაც, XX საუკუნის კულტურისათვის ნიშანდობლივია თანაბარი ინტერესი როგორც დასავლური, ასევე აღმოსავლური ტრადიციებისადმი, ადამიანური არსებობის პირველსახეებისადმი. XX საუკუნის მხატვრული აზროვნება არქექტიპთა ძიებისას ხშირად მიმართავს არა მხოლოდ ძველებერძულ, არამედ ინდურ, ეგვიპტურ, ჩინურ, კელტურ, გერმანულ, თურქულ, აფრიკულ თუ სხვა მითოლოგიურ სიუჟეტებსა და სახეებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ანტიკურმა კულტურამ მაინც შეინარჩუნა თავისი პრივილეგირებული მდგომარეობა. იგი ყველაზე მეტად არის ცნობილი და ახლობელი ევროპელი მკითხველისათვის, სწორედ მან შექმნა კულტურის ენა და ამიტომაც ევროპელი მწერლები მას უფრო ხშირად მიმართავენ, ვიდრე რომელიმე სხვა მითოლოგიას.

უნდა აღინიშნოს, რომ XX საუკუნის ლიტერატურაში მძაფრად შეიგრძნობა ანტიკური მითოლოგიის უანრული ექსპანსია. ლირიკასა და დრამაში მითოლოგიის ტრადიციული გამოყენების კვალდაკვალ (კლოდელი, ჟ. პ. სარტრი, ჟ. ანუი, ა. ჟიროდუ, ინ. ანენსკი, ვ. ივანოვი, ვ. ბრიუსოვი, მ. ცვეტაევა) მიმდინარეობს მისი აქტიური ათვისების პროცესი პროზაულ უანრებშიც (მოთხრობა, რომანი). ამ შემთხვევაში ინიციატივა ეკუთვნოდა ჯ. ჯოისს. მას მრავალი მიმდევარი გაუჩნდა. პროზაულ უანრებში მითოლოგიის გამოყენება ავტორს მრავალ შესაძლებლობას სთავაზობს: ა) მითს შეუძლია შექმნას სიმბოლური (არქექტიპული) ქვეტექსტი თანამედროვე თემატიკაზე აგებული რეალისტური, თუნდაც ნატურალისტური თანამიმდევრობით აღწერილი მონათხრობისთვის, როგორც ეს ჯოისის *ულისეშია*,

სელინჯერის მოთხრობაში *მალლა ასწიეთ ქერი, ხუროებო*, ან მარკესის *ფოთოლცვენაში*. ბ) მითის საშუალებით შესაძლებელია თავად ტექსტის ფორმირებაც, თუ იგი გამოიყენება როგორც საშუალება თანამედროვე ამბის ახსნისთვის ან კონტრასტისთვის, როგორც ეს აპდაიკის *კენტავროსშია* ან მიგელ ოტერო სილვას მოთხრობაში *როცა მეტირება, არ ვტირი*. გ) შესაძლებელია მითის დაყოფა და მისი გადმოცემა ისტორიული დეტალებით, ფსიქოლოგიური ინტერპრეტაციით. ამის ნიმუშად გავიხსენოთ თომას მანის დიდებული ქმნილება *იოსები და ძმანი მისნი*, სადაც ავტორი ბიბლიური მითის რეალისტურად ინტერპრეტირების ცდას გვთავაზობს; აგრეთვე მეშტერხაზის რომანი *პრომეთე*, კ. ვოლფის *კასანდრა*.

დღეს აღარავის მიაჩნია სადაოდ, რომ ჩვენ მსოფლიო კულტურის არსებობის ხანაში ვცხოვრობთ. ეს არის კულტურა თავისი იდეური ინტერნაციონალიზმითა და მხატვრული ყოვლისმომცველობით. მაგრამ არც ის არის სადაო, რომ ანტიკურმა კულტურამ შეინარჩუნა თავისი პრიორიტეტი და ამას თავისი მიზეზები აქვს: უპირველეს ყოვლისა, ეს არის ტრადიციის ძალა, ის პირდაპირი და უწყვეტი კონტაქტები, რომელიც ევროპულ კულტურას აკავშირებს ძველბერძნულთან. სწორედ ეს არის ძირითადი მიზეზი იმისა, თუ რატომ იქცა ძველბერძნული და არა ეგვიპტური, ინდური ან ჩინური კულტურა სკოლად, წყაროდ ძირითადი ჟანრებისა, სიუჟეტებისა თუ სახეებისა დასავლეთევროპული კულტურისათვის.

როდესაც ვსაუბრობთ ტრადიციის ძალაზე, მნიშვნელოვანია გაცნობიერება იმისა, თუ რა არის ის ფუნდამენტური თვისება ხელოვნებისა, რომელიც ტრადიციისადმი მიმართვის და მისი მხატვრული გადააზრების მარადიულ სურვილს ბადებს.

ამაზე პასუხს ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ეძიებდნენ ფილოლოგოსები. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანს ვკითხულობთ ფსევდო-ლონგინოსის ტრაქტატში *ამაღლებულისათვის*: „...ზედმეტად მიმაჩნია იმის მტკიცება, რომ ამაღლებული სიტყვერი შემოქმედების მწვერვალია და რომ დიდმა პოეტებმა და მწერლებმა სწორედ მისი წყალობით მოიხვეჭეს პირველობა და დიდების შარავანდედით შემოსეს თავიანთი სახელი“ (p. Hyps. I. 1).

ტრაქტატის ავტორი, მართალია, არ თავაზობდა თავის მკითხველს „ამაღლებულის“ ზუსტ განმარტებას, მაგრამ იგი წერდა, რომ ამაღლებული „სულიერი სიმაღლის გამოძახილია“ (p. Hyps. IX. 2). ხოლო სულიერ სიმაღლეს საფუძვლად უდევს აზრისა და ვნების უჩვეულობა, დიდებულ აზრთა გამოხატვისთვის აუცილებელი სიტყვიერი მშვენიერება. ფსევდო-ლონგინოსი ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, თუ რაოდენ შორს არის ამაღლებული ყოფითი

ამაოებისაგან, პატივმოყვარეობისაგან, ძალაუფლების მოპოვების წადილისაგან. მის მსჯელობებში აშკარად შეიგრძნობა ამაღლებულის რელიგიურობა, ბუნების ძალთა ჭვრეტაში ღვთაებრივი ძალმოსილება, რასაც ღრმა ფილოსოფიური მნიშვნელობა გააჩნია. ამაღლებული, ფსევდო-ლონგინოსისის აზრით, ადამიანს აღამაღლებს ღვთაებრივ დონემდე, რამეთუ ანიჭებს მარადიულობას მისივე ხელოვნების ძალით. ადამიანებს არასოდეს ეუფლებათ ამაღლებულის განცდა პატარა ნაკადულების ხილვისას „მთელი მათი სიანკარისა და მარგებლობის მიუხედავად“, არამედ ამათ ხიბლავთ ნილოსი, ისტროსი, რენოსი და ოკეანოსი.

ზუსტად ასევე – ვკითხულობთ ტრაქტატში – აქ, მიწაზე ჩვენს ხელთ დაგზნებული ცეცხლის ალი – ეს წმიდათაწმიდა ალი კი არ იწვევს ჩვენს აღტაცებას, არამედ ციურ მნათობთა მარად უქრობი შუქი, მარად უქრობი სხივცისკროვნება, მიუხედავად იმისა, რომ მას ხშირად გვიბურავს ბნელი. ან რა შეიძლება იყოს უფრო განსაცვიფრებელი, ვიდრე ეტნის კრატერი, საიდანაც თვითონ ქვესკნელი აფრქვევს ხოლმე გავარვარებულ ლოდებს და ლავას, რომელიც ცეცხლის მდინარეებად მოიგრაგნება მთის კალთებზე.

თუმცა, ეს აზრი შეიძლება ორიოდ სიტყვითაც ითქვას: „რაც უფრო მეტ გულგრილობას იჩენენ კაცნი ყოველივე ჩვეულებრივის, ყოველდღიურისა და მათთვის აუცილებელის მიმართ, მით უფრო მეტად აცვიფრებს მათ ყოველივე უჩვეულო და მოულოდნელი“ (p. Hyps. XXXV).

არის თუ არა ამაღლებული ხელოვნების ფუნდამენტური თვისება?

ამ პრობლემას ფსევდო-ლონგინოსის შემდეგ პირველად შეეხო ინგლისელი ფილოსოფოსი ედმუნდ ბერკი („ფილოსოფიური კვლევა ამაღლებულისა და მშვენიერის ჩვენეულ იდეათა წარმოშობის შესახებ“, 1757 წ.), რომელიც მიიჩნევდა, რომ ჩვენი მსჯელობანი მშვენიერის თაობაზე ეფუძნებიან გრძნობადი გამოცდილების ორ აფექტს: ერთი დაკავშირებულია ურთიერთობასთან, მეორე – თვითგადარჩენასთან (შიში, შეძრწუნება, გაოგნება, აღფრთოვანება). სწორედ ეს აფექტები ბადებენ ამაღლებულის განცდას. ედმუნდ ბერკი აღნიშნავდა, რომ არსებობს კონტრასტი ამაღლებულსა და მშვენიერს შორის და რომ ამაღლებულის განცდა შესაძლებელია გამოიწვიოს არამშვენიერმაც.

მშვენიერების განცდას ანტიკურ სამყაროშივე მრავალი ქმნილება მიეძღვნა. სოკრატემდელ ფილოსოფიაში მას კოსმიური ხასიათი ჰქონდა; არქაული ხანის ლირიკოსები მიანიშნებდნენ სულიერი მშვენიერების იდეაზე, რაც გამოიკვეთა საპფოს პოეზიაში და რომელიც კლასიკური ფილოსოფიის უმთავრეს პრობლემად იქცა „კალოკაგათიას“ სახელწოდებით. პლატონი მშვენიერებას განსაზღვრავდა, როგორც

სრულყოფილებას იდეალურ ნიმუშთან სრულ თანხმობაში მყოფი ფორმისა (ნადიმი). ამასთან დაკავშირებით გამოიკვეთა აზრი ბუნებაში არსებული მშვენიერებისა და ხელოვნებაში არსებული მშვენიერების თაობაზე (Асмус, Мыслители прошлого. Платон).

ლოსევი იზიარებდა რა პლატონის აზრს, აღნიშნავდა, რომ ხელოვნების ნიმუში არის ამა თუ იმ იდეის საგანთა ზღვრული ფორმირება. ხოლო რამდენადაც საგანთა ზღვრული ფორმირება არის კოსმოსი, ყველაფერი ის, რაც მასში არსებობს, არის მიახლოება კოსმოსის მხატვრულ სრულყოფილებასთან (Лосев, Калокагатия и классический идеал. История эстетических категорий 100).

ერთი შეხედვით, პლატონისეული მსჯელობა მშვენიერების თაობაზე და ფსევდო-ლონგინოსისეული – ამალღებულის თაობაზე თითქოს მხოლოდ ესთეტიკის სფეროს განეკუთვნება, მაგრამ დაკვირვებული მკითხველისათვის ამ მსჯელობებში ნათელია ხელოვნების ფუნდამენტურ თვისებად არანაკლებ მნიშვნელოვანი ზნეობრივი საწყისის გაცნობიერება. სწორედ ამას გულისხმობს „καλοκαγαθία“-დ ცნობილი ბერძნული იდეალი, რომელიც ასე განიმარტება: καλός – „მშვენიერი“, αγαθός – „კარგი“ (კეთილი, კეთილმოზილი, ღირსეული...). ამ ორი უმთავრესი კატეგორიის გაცნობიერებას არისტოკრატიული წარმომავლობა გააჩნია და იგი დასაბამს თვით ჰომეროსიდან უნდა იღებდეს, თუმცა კლასიკურ საბერძნეთში ჩამოყალიბდა უკვე ეთიკურ, ესთეტიკურ, სოციალურ-პოლიტიკურ, ფილოსოფიურ და პედაგოგიურ იდეალად (Йегер, Пαιδείя). ის საფუძვლად ედო ბერძნულ პაიდეიას – აღზრდის სისტემას, რომელსაც სოფისტებმა მიამატეს განსწავლულობა და განათლებულობა და ამით საბოლოოდ სრულყვეს სულისა და სხეულის ჰარმონიულობა (Лосев, История античной эстетики).

„კალოკაგათიას“ იდეალი ედო საფუძვლად ძველბერძნულ ხელოვნებასა და ლიტერატურას. ამ ჰარმონიამ განაპირობა იმ შედეგების შექმნა, რომლებიც დღემდე იწვევს აღფრთოვანებას. სწორედ ამ ჰარმონიულობის განცდით არის დაწერილი ტრაქტატი *ამალღებულისათვის*, რომლის ავტორიც არაორაზროვნად მიგვანიშნებს ქვემარტი შემოქმედის დანიშნულებაზე:

უპირველეს ყოვლისა ჩვენ გვმართებს გავარკვიოთ, რატომ არ აღიძვრის ქვემარტი შემოქმედის სულში უკეთური და უღირსი აზრი, ან რატომ ვერ შექმნის რაიმე დიადსა და მარადიულს ის, ვინც მთელი სიცოცხლის მანძილზე მდაბალი აზრებით სულმდგმულობს, ბილწ სურვილებსა და უღირს ზრახვებს დამონებული? იმიტომ რომ ამალღებულის – მაღალი აზრის ნაყოფია, ხოლო მისი შემოქმედი თავადაც მაღალია და მაღლად მხედი (p. Hyps. IX).

აი, ამ პრინციპებზეა შექმნილი ანტიკური ხანის კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც საოცრად მრავალფეროვანია და ამალღებული. თანამედროვე ადამიანი ჰომეროსის, პინდაროსის, ესქილეს, სოფოკლეს, ევრიპიდეს, პლატონის, არისტოტელეს, პრაქსიტელესისა თუ სკოპასის და კიდევ მრავალი სხვა დიდებული ხელოვანის ქმნილებებთან მიახლოებისას განიცდის ეთიკო-ესთეტიკურ კათარსისს. ეს არის ერთგვარი ტკბობა წარსული ხელოვნებით. ამ ტკბობით მონიჭებული სიხარული მით უფრო მძაფრია, რაც უფრო მდიდარია ჩვენი სულიერება, ხოლო ჩვენი სულიერების სიმდიდრე განპირობებულია იმ მემკვიდრეობის გაცნობიერებით, რომელიც უკვე მრავალი საუკუნეა ასაზრდოებს განსხვავებული ეპოქებით გამორჩეულ დასავლურ ცივილიზაციას, ცივილიზაციას, რომლის ჩამოყალიბებაშიც წინაქართველურ ტომთა წვლილზე მიუთითებენ იტორიული წყაროებიც და ამ წყაროთა შემსწავლელი მეცნიერებებიც.

ბიბლიოგრაფია

- Асмус, В. Ф., *Мыслители прошлого. Платон*, М., 1975.
- Chantraine, Pierre, *Dictionnaire étymologique de la langue grecque. Histoire des mots*, Paris, 1968.
- Гимбутас, М., *Боги и Богини Старой Европы. Мифы, легенды и культовые изображения*, Лондон, Темза и Гудзон. 1974.
- Грейвс, Р., *Мифы древней Греции*, М., 1992.
- Davies, N., *Europe. A History*, Oxford, 1996.
- Davies, John K., *Das Klassische Griechenland und die Demokratie*. München, 1982.
- “Hecateus” in Hornblower, Simon et al. (dir.), *Oxford Classical Dictionary*, 3 rd. ed., Oxford; Oxford University Press, 1999, 670-1.
- Йерер, В., *Пайდეя. Воспитание античного грека*, / Пер. с нем. А. И. Любтина, т. I. М., 2001.
- Лосев, А. Ф., *Мифология греков и римлян*, М., 1996.
- Лосев, А. Ф., *История античной эстетики*, т. IV, М., 1975.
- Лосев, А. Ф., *Калокагатия и классический идеал. История эстетических категорий*, М., 1965.
- Martinková, I., “Three Interpretations of Kalokagathia”, in Mauritsch, P., *Körper im Korf-Antike Diskurse zum Körper*, Nummi et Litterae, Bd. III, Graz, 2010, 95-119.
- Wailer, I., “Das Kalokagathia – Ideal und der “hässliche” Athletenkörper”, in Mauritsch, P., *Körper im Korf-Antike Diskurse zum Körper*, Nummi et Litterae, Bd. III, Graz, 2010, 96-119.
- Ярхо, В. Н. “О невероятном” // Палефат; Пер. с др.-греч., вст. статья и комм. В. Н. Ярхо // Вестник древней истории, М., Наука, 1988, №3.

Les civilisations gréco-romaine et orientale anciennes en traduction

გორდებიანი, რისმაგ, წინაბერძნული და ქართველური. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1985.

თუკიდიდესი, პელოპონესოსის ომის ისტორია, პერიკლესის სიტყვა (თარგმნა ლევან გორდებიანი), ანტიკური ლიტერატურის ანთოლოგია, წიგნი II. შეადგინა, წინათქმანი და განმარტებანი დაურთო ნანა ტონიამ, თბილისი, 2009.

ფსევდო-ლონგინოსი, ამალეებულისათვის (თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძის), ანტიკური ლიტერატურის ანთოლოგია, წიგნი II, შეადგინა, წინათქმანი და განმარტებანი დაურთო ნანა ტონიამ, თბილისი, 2009.

ჰეროდოტე, ისტორია, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო თინათინ ყაუხჩიშვილმა, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტ. I, თბ. 1975, ტ. II, 1976.